**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა**

**დაბა ქედა**


განკარგულება:**g-95. 95232432**

თარიღი:**31/08/2023**


**ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შ.პ.ს. „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა ტბელ აბუსერიძის ქ. №10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილის კერძოდ, მეორე სართულზე არსებული 45,80 კვ. მეტრი საკონფერენციო ფართის (ს/კ 21.03.33.016.01.521; გადასაცემი ფართის შიდა ნახაზი განკარგულებას თან ერთვის, ხოლო გადასაცემი ფართის საბალანსო ღირებულება შეადგენს 4500,0 (ოთხი ათას ხუთასი) ლარს), შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-სათვის (ს/ნ:446758946) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - ჰამიდა ზოიძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი